# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 97 სამშაბათი, 22 დეკემბერი 1909 წ. № 97

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სადამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი ერთი შაური — „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ — ცალკე ნომერი ერთი შაური

## მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**
თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**
თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1. იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.



შაბათს, 26 დეკემბერს
ქვაშვეთის წმ. გ. ეკლესიაში მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატის

**არჩილ ლევანისძე ჯაფარიძის**

გარდაცვალებიდან წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის მეუღლე იულია ნიკოლოზის ასული და მშობლები.
პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე.



უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, (საზოგადოებას და კერძო პირებს), ვინც ჩვენი გადაუტანელი მწუხარება გაიზიარა ჩვენის ძვირფასის

**ილიუშას**

სიკვდილის გამო—გვანუგეშა პირადათ, წერილით ან დეპეშით. უბედური მშობლები: ლისა და ალექსანდრე, ძმები: გიორგი და მიშა საბახტარიშვილები.
1—1



თფილისის სახაზინო თეატრი

22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ყველასათვის გასაგები საუბარი **ა. ა. ზლობინსკისა**

**„ჰაერში ცურვა და ფრენა“**
(პირადი დაკვირვების შედეგები)
**დაწვრილებით პროგრამაში.**

ლექციის გათავების შემდეგ ლექტორი პასუხს გასცემს კერძო პირებს შეკითხვაზე.
ფასები დაკლებულია.

სამშაბათს, 29 დეკემბერს ე. ვ. დე-ბოს-სობოლევას საბენეფისოთ

**რომეო და ჯულიეტა**



წელიწადი **1910 წლისათვის** მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**




**პირველ იანვრიდან ჟურნალი გამოვა გადიდებულ ზომის და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.**

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

**პრემიათ გაეგზავნება**

**ახალი კრებული**

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ **2 მ. 50 კ.** დანარჩენი **2 მ. 50 კ.** პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **აზიანი, ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიცნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაკელი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკელა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.



## თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. ლ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^{1}/_{2}$—11.
**გურძო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—60)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.



## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^{1}/_{2}$ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.
(100—60)



დ. ქიათურაში **კბილის ექიმი**

**ე. ტ. ლორის-მელიქოვი**

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.



კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.



**ფ ე რ შ ა ლ ი**

ლეონტი ბარკალაია

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.
**ადრესი:** გოგოლის ქუჩა № 68.



„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**
მიიღება ხელის მოწერა
მეოთხე წიგნზე

**„ბანდეგილი“**

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა

ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზანოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—6)

ადრესი: Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».



კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).



კბილის ექიმი

**რომანოშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.


# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20—21 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** ქალაქში გავრცელებულია განცხადებები რახიმ-ხანის გარდაცვალების და ეფრემის მიერ აგარის და ყარაჯალის დაპყრობის შესახებ.

**თავრიზი.** სომხების სობოროში მრავალი ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სულის მოსახსენებლათ.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** ზაგრების პროცესის დამცველების შუამდგომლობით საქმის საბოლოოთ გადაწყვეტამდე გაანთავისუფლეს 29 სერბიელი. სატუსაღოში დასტოვეს მხოლოდ ორი ძმა პრიბიჩევიჩები, რადგან, ვისაც ათი წლის დატუსაღება აქვს გადაწყვეტილი, კანონის ძალით საქმის გადაწყვეტამდე ვერ განთავისუფლდება.

### რუსეთი.

**მოსკოვი.** გაიხსნა ქირურგთა სრულიად რუსეთის სიეზდი. დაესწრო 172 დელეგატი.

გაიხსნა ტერაპევტთა სრულიად რუსეთის სიეზდი. თავმჯდომარეობს სამხედრო-საექიმო აკადემიის პროფესორი სიროტინინი.

**პეტერბურგი.** პოლკოვნიკ კარპოვის მკვლელის დაჭერისთვის გრადონაჩალნიკმა 300 მანათით დაასაჩუქრა პოლიციელი პალეევი.

**იალტა.** ხოლერა მოისპო. საუცხოვო დარებია. ყვავის ვარდი.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ გაზეთ „სტრანას“ რედაქტორ კოვალევსკის ორი თვის ციხე გადაუწყვიტა გაზეთში ჯარის შეურაცხმყოფელ წერილების მოთავსებისთვის.

**ვოლოგდა.** რეალურ სასწავლებლის დირექტორის ბინაზე ყუმბარა აფეთქდა. არავინ დაშავებულა. ჩაიმტვრა სარკმლები

**ოდესა.** სამი შეიარაღებული უცნობი შეიჭრა ქიმიურ საზოგადოების ქარხანაში, გაიტაცეს 1400 მანათი

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს 1910—1911 წელს მოსთხოვონ სემინარიელებს უნივერსიტეტში შესვლის დროს მათემატიკაში, ფიზიკაში, ნემეცურ და ფრანგულ ენებში დამატებითი ეგზამენების დაჭერის მოწმობა. ასეთი ეგზამენების დაჭერა შეიძლება როგორც გიმნაზიებში, ისე სამოსწავლო ოლქების სამმართველოს კომიტეტში.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორი ცირკულიარით აცნობებს გუბერნატორებს, რომ მათ მოწერილობებში არაფერი არ არის ნახსენები საზოგადოებრივ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორც მაგალითად პოლიტიკურ პარტიების, კავშირების და საზოგადოებების კრებებზე. გენერალ-გუბერნატორი სთხოვს მათ დაწვრილებით აცნობონ ყოველივე მოვლენა, რომელსაც ფინლიანდიის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი ექნება.

**კოკანდი.** ცეცხლმა გაანადგურა ნახევარი ბაზარი. ზარალი დიდია.

**ვარშავა.** საოლქო სასამართლომ განიხილა 1906 წელს მარიავიტების კათოლიკეებზე თავდასხმის საქმე ბლონიკის მაზრაში. 13 კაცს გადაუწყვიტა ერთ თვიდან ერთ წლამდე ციხე და 11 გაამართლა.

**ვილნო.** დაიწვა პეტერბურგის კერძო კომერციული ბანკის განყოფილება და ზალკინდის სავაჭრო სახლი. დოკუმენტები და სხვა სია ქაღალდები გადაარჩინეს.

**ვლადიკავკაზი.** საოლქო სასამართლომ განიხილა რამდენიმე ქართველის საქმე, რომლებმაც რუსეთ-ჩინეთის ბანკიდან ყალბი დოკუმენტებით მიიღეს 106,800 მანეთი. შვიდ მათგანს გადაუწყვიტა წლინახევრით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ერთს ორი კვირა კატორღაში მუშაობა, სამს სამიდან რვა თვემდე დატუსაღება და ექვსი გაამართლა.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ არავინ არ გამხდარა. ავათ არის 21

**ბაქო.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 1.

**ეკატერინოსლავი.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 4.

### შ ა ვ ი ჭ ი რ ი.

**ასტრახანი.** ასტრახანის გუბერნიის ყირგიზთა სოფელში შავი ჭირით ავათ გახდა 11, მოკვდა სამი.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ არის 20.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**საუბარი სარდარ-ასადთან.** სპარსეთის პირველ მინისტრ სარდარ ასადთან ულაპარაკნია „რუს. სლ.“ კორესპონ-

დენტს. სარდარ-ასადს კორესპონდენტისათვის უქვამს: კოფილმა თვითმპყრობელმა მთავრობამ მთელი სახელმწიფოს ქონება ხალხთან ბრძოლას დაახარჯა. ჩვენ საზინა ცარიელი დაგვხდა და რეფორმები უფულოთ გარეშე სახელმწიფოთა დაუხმარებლათ დავიწყეთ. ამ ჟამათ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთი და ინგლისი დახმარებაზე უარს არ გვეტყვიან. მეჯლისის გადაწყვეტილებით ორივ სახელმწიფო წარმომადგენლებს მივმართეთ შუამდგომლობით, რომ მილიონი მანეთის სესხი მოეხერხებიათ სახელმწიფოს აუცილებელი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ მივმართავთ რუსეთის პრესას თხოვნით, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენ სესხს და ვსთხოვთ რუსეთის საზოგადოებას არ დაუჯეროს „ნოვოე ვრემიას“, რომლის კორესპონდენტი ყალბ ცნობებს აქვეყნებს სპარსეთის ხალხის შესახებ. მე დიდი ხანია, რაც თანამდებობას თავის განებება და დასვენება გადავსწყვიტე, მაგრამ ამას ვერ ვბედავ, რადგან დარწმუნებული ვარ, როგორც პორთფელს სხვას გადავცემ, სპარსეთში მაშინვე ანარქია და უწესოება გამეფდება.

**რეფორმები ჯარში.** სეპეხდარმა მეჯლისს წარუდგინა კანონ-პროექტი ჯარის რეორგანიზაციის შესახებ. აზრათ აქვთ 30,000 ჯარის კაცისაგან კორპუსები შეადგინონ. ჯარის ცალკე ნაწილის წინამძღოლათ უნდა დაინიშნონ აფიცრები, რომელთაც სამხედრო განათლება ევროპაში აქვთ მიღებული.

### ოსმალეთი

**სამინისტროს კრიზისი.** სტამბოლიდან „რ. ს.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ხილმი-ფაშას გადაყენება გამოიწვია განხეთქილებამ, რომელიც მინისტრსა და „ერთობა-პროგრესის კომიტეტს“ შორის ჩამოვარდა. ვენის პოლიტიკურ წრეებში ხილმი-ფაშას გადაყენება გერმანიის დიპლომატიის გამარჯვებათ მიაჩნიათ.

### შორეული აღმოსავლეთი.

**კორეის ანექსია.** კორეის პოლიტიკური პარტიების „ილმან-ხაი“-მ და „დაიხანკიოკაი“-მ, რომელნიც უკანასკნელ დროს აგიტაციას ეწეოდენ კორეის და იაპონიის შეერთების შესახებ „რ. სლ.“ იაპონიის წარმომადგენელს მიმართეს, რომ იაპონიის მთავრობამ კორეის ანექსია გამოაცხადოს და კორეის მცხოვრებნი არა ნორმალური მდგომარეობიდან და სრული განადგურებიდან გამოიყვანოს.

**ხარბინის ქალ. თვითმართველობაში.** ხარბინის ქალაქის თვითმართველობაში რუსებსა და ჩინელებს შორის დიდი განხეთქილება გამოიწვია საკვირაო დასვენების საკითხმა. „რ. ს.“ გადმოცემით ჩინელებმა განაცხადეს: დადგენილებას დაოტაი არ დაამტკიცებსო და სხდომიდან გაიქცენ.

### რუსეთი

**გილევიჩის დატუსაღება.** 15 დეკემბერს პარიზში საერთაშორისო ბანკში დაატუსაღეს ინჟენერი ანდრია გილევიჩი. ეს ის გილევიჩია, რომელმაც პეტერბურგში, ლეშტუკოვის ქუჩაზე საზიზღარი მკვლელობა მოახდინა. გილევიჩი ბანკში მისულა 400 მ. გამოსატანათ, რომელიც საერთაშორისო ბანკის საშუალებით გამოუწერია პარიზში. ეს ფულები ეკუთვნოდა პეტერბურგის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტს პოდლუცკის, რომელიც გილევიჩმა პეტერბურგში მოკლა. მაძებარ პოლიციას მოკლულის ვინაობა დიდი ხანია, რაც გამოურკვევია. პეტერბურგის დამცველი პოლიციის უფროსს გაუგია, რომ გილევიჩი პარიზშიაო და პოლიციის მოხელის, კუზნეცოვის თანხლებით მის დასაჭერათ გამგზავრებულა, მაგრამ გილევიჩი პარიზში ვეღარ უნახავთ. საფრანგეთში მყოფ პოლიციის აგენტებს საჭირო ცნობები გადასცეს გილევიჩის შესახებ და დაავალეს ზომები მიეღოთ მის დასაჭერათ. ფილიპოვი კუნცევთან ერთად პეტერბურგში დაბრუნდა. აგენტებმა შეიტყვეს, რომ ან. გილევიჩის ნოემბერში ლიონის ბანკიდან პოდლუცკის სახელზე 8,000 მ. გამოეტანა და კიდევ უნდა გამოეტანა 400 მ. საერთაშორისო ბანკიდან. უკანასკნელი ფულის გადასაგზავნი ბლანკი დამცველი პოლიციის უფროსმა, ფილიპოვმა პეტერბურგში დააკავა, რომ კუნცევის შეძლებოდა პარიზში ჩასვლა მოესწრო.

გილევიჩი ბანკში რამდენჯერმე შესულა, მაგრამ პასუხათ უთხრობიათ: ჯერ ფული არ გადმოუგზავნიათო. კუნცევიმა ჩასლისთანავე თვალ-ყურის დევნება დაუწყო ბანკში მოსიარულეთ. კუნცევიმა „ნოვოე ვრემიას“ ყველა ნომრები იყიდა, რაც პარიზში იყო მისული, რადგან ამ გაზეთში წერილები იბეჭდებოდა, რომელშიაც ნათქვამი იყო პოლიცია გილევიჩს დაედევნა დასაჭერათო. კუნცევიჩი ფრთხილობდა, რომ ეს გაზეთი გილევიჩს არ ჩავარდნოდა ხელში. 15 დეკემბერს გილევიჩი ბანკში მივიდა. მას ნიღაბი ქონდა გაკეთებული. კუნცევიმა ერთი პოლიციის აგენტის დახმარებით გილევიჩი დაატუსაღა.

პოლიციამ შემდეგი გამოარკვია: სტუდენტი პოდლუცკი გილევიჩთან მისულა მოსკოვში გაზეთში მოთავსებულ განცხადების თანახმათ. გილევიჩს პოდლუცკი პეტერბურგში ჩაუყვანია და იქ მოუკლავს. „რ. უ.“-ს გადმოცემით პოდლუცკის დაკარგვა მშობლებმა პოლიციას აცნობეს, რომელმაც მკვლელი გილევიჩი აღმოაჩინა და პარიზში დაატუსაღა. როგორც დეპეშებიდან ვიცით, გილევიჩმა დატუსაღების შემდეგ თავი მოიწამლა.

**ს. დ. ფრაქციაში.** 6 დეკემბერს ს. დ. ფრაქციაში გაირჩა საკითხი სავალდებულო ენის შესახებ ადგილობრივ სასამართლოებში. ფრაქციამ დაადგინა: 1. ადგილობრივ სასამართლოებში საქმეები სწარმოებს როგორც რუსულზე, აგრეთვე სხვა ენებზედაც რუს. იმპერიის მცხოვრებნი ლაპარაკობენ. 2. სამართლის წარმოება ადგილობრივ სასამართლოებში, გარდა რუსული ენისა, ხდება იმ ენაზედაც, რომელზედაც ამას მომჩივან-მოპასუხე მოისურვებენ. 3. იმ ადგილებში, სადაც დიდი უმრავლესობა არა რუსები სცხოვრობენ, სასამართლოებში შემოღებული ძირითადი რუსული ენა, მცხოვრებთა სურვილისამებრ, შეიძლება შეცვლილ იქნას ადგილობრივ ენაზე. (ნ. დ.)

**სიკვდილით დასჯის შესახებ.** 18 დეკემბერს დეპუტატმა ბულატმა სახელმწიფო დუმაში განცხადება შეიტანა, რომ სიკვდილით დასჯის მოსპობის კანონ-პროექტს მსვლელობა მიეცეს. ეს კანონ პროექტი მზათაა და კომისიაში უძრავათ ძევს.

**ბობრინსკიმ აკრძალა.** 14 დეკემბერს დეპ. ჩხეიძემ დუმის ბიბლიოტეკარს მიმართა ბურცევის „ბილოეს“ უკანასკნელი ნომერი მიეცათ მისთვის. ბიბლიოტეკარმა ჩხეიძეს უარი უთხრა და დაუმატა: ბობრინსკის განკარგულებით მთელი არალეგალური ლიტერატურა ჩაკეტილი იქნება საბიბლიოტეკო კომისიის ახალ განკარგულებამდეო.

**დუმბაძე და ტოლმაჩევი.** გენ. დუმბაძეს და ტოლმაჩევს, „რეჩის“ სიტყვით, უმაღლეს თანამდებობაზე ნიშნავენ. ერთი მათგანი დაინიშნება პეტერბურგში, მეორე კი ფინლიანდიაში—გენ.-გუბერნატორის თანაშემწეთ.

## წერილები ლონდონიდან

(საკ. კორესპონდენტისაგან)

ასკვიტის ლიბერალური სამინისტრო შედრკა, მან ვერ აიღო, როგორც უკვე მოვიწერე, დროის შესაფერი ალღო და არჩია ლორდთა მიერ ნაჩვენებ გზით სვლა: ქვედა პალატის დათხოვნა და ხალხისადმი მიმართვა. მაშასადამე, ინგლისის მთელი დღევანდელი ყურადღება მიპყრობილია ახლო მომავალ არჩევნებისაკენ. ეს ერთი ხანია, რაც უკვე დაიწყო კამპანია და ყველას არჩევნები აკერია ენაზე. ყველაზე უფრო გამოცოცხლება დაეტყო ლიბერალურ წრეებს, რასაკვირველია, თუ სახეში მივიღებთ გარეგნულ აურ-ზაურს. პოპულიარული მინისტრები დაჰქრიან ელვასავით მთელს ინგლისში და დღეში ერთის მაგიერ, ორ მიტინგს მართვენ. მათ მჭერმეტყველობას და ენა-მახვილობას საზღვარი არ უჩანს. ისინი არიან სამასლათო თემა შინ და გარეთ, გაზეთში და რესტორანებში...

მაგრამ ყველა ეს აყალ-მაყალი დაჩრდილა, ერთდროულათ მაინც, პრემიერ-მინისტრის ასკვიტის გამოსვლამ ამ დღეებში ლონდონის ერთ ვეება მიტინგზე „ალბერტ-ჰოლ“-ში. და სწორეთ ესაა ჩვენთვის საინტერესო. ვინაიდან საარჩევნო კამპანია დაწყებულია, ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ ამა თუ იმ პარტიის პოზიცია, მისი სულის-კვეთება. ინგლისში, როგორც ცნობილია, ძველადანვე ორი პოლიტიკური პარტია არსებობს: კონსერვატიული და ლიბერალური, რომელნიც თითქო ჯერობით მოექცევიან ხოლმე სახელმწიფოს სათავეში და აქედან მართვა-გამგეობაც პარტიულია. დღეს ლიბერალები სდგანან სათავეში და აქედან პრემიერ-მინისტრი იმავე დროს მათი ოფიციალური ლიდერიცაა. მაშასადამე, იგია კანონიერი გამომთქმელი ლიბერალთა საარჩევნო პლატფორმისა. დავუგდოთ მას ყური, მე მოვიყვან უმთავრეს ადგილებს მის სიტყვიდან.

მე მოგმართავთ თქვენ—ამბობს ასკვიტი—მთელი ლიბერალური პარტიის და მთავრობის სახელით და გეტყვით: ჩვენი გვაქვს მომავალ არჩევნებში ერთათ-ერთი მიზანი, მიზანი, რომელშიც იგულისხმება და რომლისაგან დამოკიდებულია ყველა დანარჩენი მისწრაფებანი, ეს არის წარმომადგენლობითი მმართველობის პრინციპის დაცვა და განმტკიცება. ლორდებმა წარმოშვეს სრულიად მოულოდნელი და უმაგალითო ხიფათი, რომელიც მიმართულია ხალხის თავისუფლებათა წინააღმდეგ. ლორდთა პალატის პრეტენზია შეიცავს სამ მუხლს: 1) კონტროლი სახელმწიფოს ფინანსებზე, 2) უფლება ქვედა პალატის დათხოვნისა და 3) როგორც დასკვნა პირველ ორ მუხლისა, უფლება მთავრობის დაყენებისა და მისი გაუქმებისა. ჩვენ სასტიკათ წინააღუდგებით მათ უსამართლო და უკანონო მისწრაფებათ. პირდაპირ არაბუნებრივია ასეთი პრეტენზიები მემკვიდრულ და უწარმომადგენლობითი პალატისაგან.

გადახედეთ კანონთა კრებულს—განაგრძობს ასკვიტი—და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთი დიდმნიშვნელოვანი კანონიც კი არ განხორციელებულა, რატომ? იმიტომ, რომ ხალხის მიერ ნასურვებ და ქვედა პალატის მიერ ბეჯითათ შემუშავებულ ბილებს კრიჭაში უდგა ზედა პალატა, რომელიც ჰკლავდა მათ ან უწყალოთ ასახიჩრებდა. ჯერ მიდგა საფინანსო ბიუჯეტზე, რომლის ხელის ხლება ლორდთა პალატისაგან, ჩვენმა ისტორიამ არ იცის [illegible] ეს წარმოდგენილი, ჯერ კიდევ [illegible]ბერში განაცხადა [illegible]: „ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტი უკანასკნელი ცდაა ვაჭრობის თავისუფლების სისტემისა, რომელმაც გზა უნდა შეუკრას პროტექციონიზმს“. აქედან ცხადათ სჩანს, რომ კონსერვატორებმა იმიტომ კი არ უარყვეს ბიუჯეტი, თითქო ის ამყარებდა ინგლისში სოციალიზმს ან ჭაციობას, არამედ იმიტომ, რომ ის მართლაც ანადგურებს იმას, რასაც სატარიფო რეფორმას ეძახიან.

**დაუწერელ ადათთა დრო გაჰქრა. საუბედუროთ,**— აცხადებს ასკვიტი გადაჭრით და გაბედულათ. ჩვენ ვთხოულობთ ამრჩეველთაგან მტკიცე და გარკვეულ მონდობილებას, რათა ლიბერალურმა უმრავლესობამ და მისმა მთავრობამ გაიყვანონ ახალ პარლამენტში განსაკუთრებული აქტი და ჩასწერონ კანონთა კრებულში უხსოვარ დროიდან გაბატონებული კონსტიტუციონალური პრინციპი, რომლის ძალით **სახელმწიფოს ფინანსები დამოკიდებულია მხოლოდ და მარტო სათემო პალატისაგან.** იმავე დროს ლორდთა პალატის **აბსოლიუტური „ვეტო“ საზოგადოთ კანონმდებლობაში უნდა მოისპოს სამუდამოთ.** მიუხედავათ ამისა, ჩვენ არა ვართ ერთ-პალატიანი პარლამენტის მომხრე, ჩვენ ვიცავთ უკვე არსებულ **ორ-პალატიან სისტემას.** სათემო პალატის გვერდით უსათუოთ უნდა იყოს მეორე პალატაც, მაგრამ მას არ უნდა ექნეს პირველის ძალა და მნიშვნელობა,—იგი მხოლოდ **სარევიზიო** ინსტანციაა, რომელიც მოასწავებს სათემო პალატის მიერ მიღებულ ბილის **ძალაში შესვლის დაყოვნებას** რამდენიმე ხნით. იმავე დროს სათემო პალატის საკანონმდებლო დრო უნდა განისაზღვრებოდეს **ხუთი ან ოთხი** წლით (ახლა შვიდია). ამ საპარლამენტო რეფორმების დაწვრილებით აღნუსხვა და ჩამოყალიბება ახლა შეუძლებელია, დასძინა ორატორმა.

ასკვიტი დიდ ხანს შეჩერდა სხვა სოციალურ რეფორმებზე, რომელთაგან მე მხოლოდ ორს დავასახელებ; ერთი არის ქალთა საარჩევნო უფლება, რომელსაც არ თანაუგრძნობს პირადათ ასკვიტი, მაგრამ მან აღუთქვა მსმენელთ, რომ ეს კითხვა ღიათ იქნება დატოვებული მთავრობის საარჩევნო კანონ-პროექტში და სათემო პალატას შეუძლია თვითონვე გადასჭრას იგი. მეორე არის ირლანდიელთა კითხვა. ასკვიტმა აღიარა ინგლისის წარსული პოლიტიკა ირლანდიის მიმართ

---

## სტუდენტი ივანოვი.

დასასრული

ივანოვმა დაივარცხნა თმა, გაისწორა ტუჟურკა და შევიდა სასტუმრო ოთახში. მრგვალ მაგიდასთან დივანზე იჯდა ვიღაც სათვალებიანი ჭაღარა ქალი ბაბთიანი თავსახურავით და ალბომებს ათვალიერებდა. ივანოვის შესვლაზე მან წამოსწია თავი და სათვალეების ზემოდან გადმოხედა მას. უხერხულად მიესალმა რა ქალს, ივანოვი სასადილო ოთახში შევიდა, სადაც დიდი, გაშლილი სტოლის გარშემო ბევრი ხალხი ისხდა. იყვენ სტუდენტები, ახალგაზრდა ქალები და სამხედრო პირებიც,—რაღაცაზე ლაპარაკობდენ... ივანოვის შესვლაზე ლაპარაკი შესწყვიტეს და ყველამ მას დაუწყო ცქერა. მაგიდის პირდაპირი კუთხიდან წამოდგა მამა, ახალგაზრდა ქალისა მაღალი და წვრილი მოხუცი, აწეული ჭაღარა წარბებით და მშვიდი ფერ-მკრთალი სახით. მკითხავი და ოდნავ მიუხდომელი თვალებით შეხედა მან ივანოვს და წამოვიდა მის შესახვედრად. მდუმარეთ, გრილი ალერსით მიესალმა მას და შემდეგ გაცნობა დაუწყო სტუმრებთან.

— ბ. ივანოვი, ყოფილი მასწავლებელი ჩემის ვაჟისა.

მაგიდის გარშემო მსხდომნი ოდნავ იწევდენ, აჩერდებოდენ ივანოვს და ასახელებდენ რა თავის გვარს, ისევ ეშვებოდენ სკამებზე. ამ მისალმების დროს ივანოვმა მიაღწია ახალგაზრდა ქალთან. ის იჯდა სამოვართან მტრედის ფერ კოფთაში გამოწყობილი და ნიდაყვებამდის გაშიშვლებული ხელებით ასხამდა ჩაის. ივანოვის მისალმების დროს იგი რაღაც შეწითლდა. ქალის გვერდით ლამაზი, ახალგაზრდა სტუდენტი იჯდა და ცალი ხელი იმის სკამის ზურგზე გადაედო. სტუდენტი რაღაც მშრალად მიესალმა ივანოვს და უზრდელად წაიბუტუნა:

— კრამჩაროვი.

ივანოვი დაჯდა თავისუფალ სკამზე ახალგაზრდა ქალის მამის გვერდით. მას დაუსხეს ჩაი და მიუწიეს საშაქრე. ქალის მამამ ჰკითხა—თუ რომელ კურსზე იყო იგი ეხლა, სადა სცხოვრობდა და კმაყოფილი იყო თუ არა ბინით. შემდეგ იმისაკენ გვერდით შემობრუნდა და თითქმის აღარც კი ამჩნევდა, ლაპარაკი მეორე ხანში შესრულ სტუმარს დაუწყო. ივანოვი გაჩქარებით სვამდა ჩაის და თან აჩერდებოდა ქალს, რომელიც რაღაც უფრო გაკეთებულიყო, გასწორებულიყო, ვარდისებური გამხდარიყო და იგი რაღაცაზე ღიმილით ელაპარაკებოდა გვერდით მჯდომ სტუდენტს და ორთავე ისინი ერთი მეორეს „შენობით“ იხსენიებდენ. ივანოვი აჩერდებოდა მას და აგონდებოდა თუ ვით ჰკოცნიდა ოდესღაც, როგორ ელოდებოდა მოყინულ ქუჩაზე, როგორ მიდიოდენ შემდეგ ერთად და როგორ ეუბნებოდა ნარნარ, მომხიბლავ სიტყვებს. ეხლავე ყოველივე ეს რაღაც შორეულ და შეუდარებელ სიზმრათ ეჩვენებოდა. აი მას კიდევ ესმოდა მისი ხმა, იგი კიდევ მის მახლობლად იყო, მაგრამ ეხლა უკვე მას აღარ ეკუთნოდა, სხვა უყვარდა და მალე ამ სხვის საკუთრებათაც გადაიქცეოდა. როგორიც სხვებისათვის, ისე მისთვისაც, ის, ივანოვი, აღარას ნიშნავდა და სულ ერთი იყო—იცოცხლებდა იგი თუ არა. შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გაიგებს მის მიერ თავის მოკვლას, გაიხსენოს ოდესღაც შეყვარებული და ოდნავ მაინც დაინანოს იგი...

შემდეგ უცბათ წამოიწია სკამიდან, რაღაც ჩუმი ხმით გადაიხადა მადლობა ჩაისათვის და ოდნავის რყევით სასტუმროში გამოვიდა. ყველამ რაღაც საოცარი თვალებით გადახედეს და წუთით მდუმარება ჩამოვარდა... შემდეგ ისევ ლაპარაკი დაიწყეს... ივანოვი კუთხეში დაჯდა სკამზე, თავით ხელებზე დაეყრდნო და რამოდენიმე წუთს გაუნძრევლათ იჯდა. შემდეგ წამოიწია და კართან მისული ისე დადგა, რომ მარტო ახალგაზდა ქალს შესძლებოდა მისი დანახვა. ჩუმათ დაუძახა სახელი და ფიქრობდა: „გამოდი, თუნდ ერთი წუთით, გამოდი“, მაგრამ ქალი თავს მაღლა არა სწევდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას. ამის შემდეგ იგი კარებს მოცილდა და თრთოლვით გაიარ-გამოიარა წინ და უკან რბილ ხალიზე, ბოლოს ცოტა შეჩერდა, ნელის ნაბიჯით ისევ სასადილო ოთახში გამოვიდა და ქალის მამას გამომშვიდობება დაუწყო.

— უკვე მიდიხართ?—წაილაპარაკა მოხუცმა და ოდნავის წამოწევით ხელი გაუწოდა

— დიახ, უკვე დროა...—თქვა ივანოვმა და შემდეგ ქალთან მივიდა.

— მშვიდობით,—უთხრა მან ჩუმათ და მაგრათ ჩამოართვა პატარა, გამთბარი ხელი. შემდეგ გამოეთხოვა ლამაზ სტუდენტს, გამოეთხოვა სტუმრებსაც და კარებისაკენ გაემართა. არავინ არ წამოწეულა მის გასაცილებლათ.

წინა ოთახში მისი პალტო მოსამსახურე ქალს უკვე ხელში ეჭირა და ჩააცვა რა, უცბათ კარები გაუღო, ჩაირბინა ძირს, გაუღო მეორე კარიც და ჩამოეცალა, რათა გაეშვა იგი... გარშემო ყოველივე გათეთრებულიყო და ამით ცა უფრო ბნელათ მოსჩანდა, ხოლო ვარსკლავები კი უფრო—სიხშირით და უფრო მოკაშკაშენი.

ივანოვი თავდახრილი ჯიბეში რევოლვერის დაჭერით გაემართა სახლისაკენ. ხელ-ახლა გაუელვებდენ ხოლმე გვერდით განათებული ფანჯრები, ყმაწვილი ქალები ისევ თამაშობდენ როიალებზე და ბავშვები ოთახებში დახტოდენ სადღაც ციხის საათმა დაიხმაურა და გვიანის გუგუნით შორს, სადღაც შორს ოქლმავალმაც დაიკივლა. ივანოვმა უცბაც სიცივე იგრძნო, მთელ სხეულში კანკალმა დაუარა და კბილებმაც საშინლათ გაუკრიჭინეს. მან აიწია პალტოს საყელო და გაუჩქარა, მაგრამ უცბათ გაახსენდა, რომ მის სახლშიდაც ციოდა, ბნელოდა, წყვდიადი იდგა. ამ წარმოდგენით კიდევ მეტათ შეცივდა... შემდეგ გაახსენდა რომ აი ეხლა იყო სითბოში, სინათლეში, ალამებულ სახლში, რომ აი ეხლა ნახა ოდესღაც შეყვარებული ქალი და ვით თავში, ისე გულშიდაც საშინელი სიმარტოვე იგრძნო... ქუჩებს თანდათან სიჩუმე იცავდა და ხალხიც ნაკლები მიმოდიოდა. გაზით განათებულ ფარნებს ნავთიანები სცვლიდა, გარშემო ყოველივე ბნელდებოდა და ქალაქის განაპირა ნაწილი იწყებოდა...

III

კვლავ ღამე იდგა და ხელ-ახლა სიბნელე ჰბურავდა ივანოვის ოთახს. ჭუჭრუტანებიდან ქარი უბერავდა და ციოდა კიდეც. ივანოვი იწვა ქვეშაგებზე და რევოლვერიც მახლობლათ ედო. ეხლა მას ყოველ წუთში, ყოველ წამში შეეძლო მიედვა იგი საფეთქელზე და თავი მოეკლა. ამისი გრძნობა ერთსა და იმავე დროს სასიამოვნოც იყო და საშინელებაც. საშინელება იყო იმიტომ, რომ ამ დროს ოთახში სიკვდილი შემოვიდოდა და შესწყვეტდა მის გულის ცემას, მის ფიქრებს, მის აზროვნებას; და სასიამოვნო მით, რომ ამავე დროს სამუდამოთ გათავდებოდენ მისი ტანჯვები, ნაკლულოვანებანი, შიმშილი, სიცივე და გაჭირვება. არა ჩვეულებრივ საშინელებათ ეჩვენებოდა, რომ იგი მთელი თვეების განმავლობაში ეძებდა სამუშაოს, დარბოდა ქალაქში და დახმარებას სთხოვდა ადამიანებს, უჩვენებდა მათ თავის აუტანელ მდგომარეობას, მაგრამ არავინ არ გამოეხმაურა მის თხოვნას, არავინ არ უშველა მას. თვით უუბრალოესი და უადვილესი სამუშევარიც მისთვის მიუწდომელი გამხდარიყო... ეხლა კი იგი ამ წუთში თავს მოიკლავდა, სიცოცხლეს შესწყვეტდა, ასეთ გაუსწორებელ და მნიშვნელოვან ნაბიჯს გადასდგამდა და ეს კი ასე ადვილი და ხელმისაწდომი იყო.

ყველა ამაების გათვალისწინების შემდეგ მოუნდა ეცინა, მაგრამ ეცინა მძიმე და მწარე სიცილით.

როდესაც ხელ-ახლა დაიწყებდა მოგონებას, თუ როგორ სცდილობდა უკანასკნელ ხანებში ეცხოვრა და ემუშავნა, ხელ-ახლა წინ ეხატებოდა რაღაც ბნელი, წყვდიადით მოცული მის წინ აღმართული კედელი, რომელიც მარად ძლევდა მას. კედლის იქიდან კი დადიოდენ, მოძრაობდენ, იცინოდენ და ლაპარაკობდენ ისეთივე ადამიანები, როგორც ის თითონ, მაგრამ ადამიანები მისთვის უცხო-

შემდარათ. მან აღუთქვა ირლანდიას სრული თვითმართველობა „წმინდა შინაურ საქმეებში“, სიტყვა „ნომე როლე“ კი, არ იხმარა. მასთან ხაზი გაუსვა, რომ „საიმპერიო პარლამენტის უზენაესობა და ავტორიტეტი“ ხელშეუხებლათ დარჩებაო.

ლიბერალთა ამ საარჩევნო პლატფორმას კონსერვატორებმა დაუპირდაპირეს თავისი. მათმა ლიდერმა და ყოფილმა პრემიერმა ბალფურმა გამოაქვეყნა ეგრ. წოდ. მანიფესტი. აი მისი ძირითადი მუხლები: მახლობელი მიზეზი—ამბობს მანიფესტი—სათემო პალატის დათხოვნით არის ლორდთა პალატის რეზოლიუცია, რომ დაკითხებოდენ ხალხს ემხრობა ის თუ არა ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტს, კითხვა იმაში როდია, შეუძლია თუ არა ლორდთა პალატას წარმოშვას საფინანსო ბილი, რადგან იმაზე მას არასოდეს არ განუცხადებია პრეტენზია; არც იმაში, შეუძლია მას თუ არა შესცვალოს საფინანსო ბილი, რადგან ასეთი კითხვა არც კი დასმულა; არც იმაში, შეუძლია მას თუ არა გადაელობოს ხალხის მიერ აღიარებულ სურვილებს, რადგან ეს მას არცა როდის არ უფიქრია. მხოლოდ სამი კითხვაა წამოყენებული: 1) განა შეუძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა საჭიროა ხალხის დაკითხვა საფინანსო საგანზე? 2) არის თუ არა დღევანდელი ბიუჯეტი ერთი ასეთი შემთხვევათაგანი? 3) და თუ დღეს მართლა ასეთი კითხვაა დასმული ჩვენს წინ, არსებობდა თუ არა სხვა გზა, გარდა იმისა, რომელზეც მიუთითეს ლორდებმა? ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტი განადგურებას უქადის კერძო საკუთრებას, იგი არის სოციალისტური, რადგან ის ხარკს ადებს არა საკუთრების რაოდენობას, არამედ, საკუთრების ძირს დედანს. ინგლისის მოქალაქე ღირსია იმისი, რომ დაეკითხონ მას, როცა ასეთი ძირითადი რეფორმა შემოაქვთ; ამიტომ ლორდთა პალატამ მისი პრივილეგიები კი არ დაიცვა, არამედ ხალხის უფლებანი. ლიბერალებს სურთ სულ სხვა რამ: მათ მოახდინეს შეთქმულობა მეორე პალატის წინაამდეგ, რომ მისი სრულიად გაუქმებით განახორციელონ ერთპალატიანი სისტემა, რაიც ეწინააღმდეგება დემოკრატიას. მანიფესტი დასცინის ლიბერალთა რეფორმატორულ სიბრძნეს და ათავებს იმით, რომ სამშობლოს დაცვა და სხვა პროგრესიული ნაბიჯი შესაძლებელია მხოლოდ სატარიფო სისტემის შეცვლით ე. ი. პროტექციონიზმის განხორციელებით. იგი თანახმაა აგრეთვე ლორდთა პალატის ზოგად რეფორმაზე.

როგორც ვხედავთ, კონსერვატორებს გამოაქვთ საგიტაციოთ ხალხის უზენაესობა, რომელმაც უნდა გამოჩეკოს პროტექციონიზმი; ლიბერალებს კი ენაზე აკერიათ სათემო პალატის უზენაესობა, რომელიც კვლავინდებურ უნდა ემყარებოდეს ვაჭრობის თავისუფლებაზე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ირლანდიელთა ეროვნულ პარტიის გამგეობამ საჯაროთ გამოაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს, ასკვიტის სიტყვის შემდეგ, ლიბერალებს.

როგორია ამ კითხვაში მუშათა ორგანიზაციების პოზიცია?

ამაზე შემდეგ. ა. ჩ.

## ახალი ამბები

✦ **წყლის ანალიზი.** ქალაქის გამგეობამ წინადადება შეიტანა ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში, რათა „ავლაბრის საგარაკოზე“ ტბის წყლის ანალიზი მოახდინოს. განზრახულია ხსენებული ტბის წყალი სასმელათ იხმარონ.

✦ **ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ 200 ცალი ორ-ხმოვანი ქართული სასიმღერო კრებული მიიღო გასასყიდათ მოსკოვიდან დ. არაყიშვილის მიერ გამოგზავნილი.

✦ **ქუჩის გაყვანა.** ქალაქის გამგეობასთან არსებული ამშენებელი განყოფილება ამ ჟამათ ადგენს ახალი ქუჩის გეგმას. ეს ქუჩა ოლგის ქუჩიდან ვერის ხიდამდე იქნება გაყვანილი.

**დელეგატი ბათუმიდან.** სრულიად რუსეთის ბეითალთა სიეზდზე დასასწრებლათ ბათუმიდან გაგზავნილია ქალაქის ბეითალი ლ. ი. ჩხენკელი.

✦ **ქართული გაზეთი ბაქოში.** იანვრის პირველ რიცხვებში ბაქოში გამოვა ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი „მარცვალი“.

✦ **პოლიცმეისტერის ბრძანება.** სამსახურიდან დათხოვნილ პოლიციელების შესახებ თფ. პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც პასუხის გებაში იქნებიან მიცემული პოლიციის ყოფილი მოსამსახურენი, რომელნიც ფორმის ტანისამოსს ატარებენ და ის ბოქაულებიც, რომელთა რაიონებში მათი საცხოვრებელი ბინები აღმოჩნდება.

✦ **კონდუქტორების შეპყრობა.** 19 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ამიერ-კ. გზის კონდუქტორები ტ. ა. ისაკოვსკი და მ. ო. ეგოროვი, რომელთაც ჩხრეკის დროს თავიანთ ბინაზე უპოვეს ნაქურდალი სპილენძი, წონით 4 ფუთი შეპყრობილნი გამომძიებელთან გაგზავნეს.

✦ **გადასახლებულები.** 20 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი თფილისის მოქალაქენი, ძმები დ. და ი. ბერიძეები.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შეკითხვა.** კავკასიის სამოსწავ ოლქის მზრუნველი თფილისის გუბერნატორს შეეკითხა იმის შესახებ, თუ რამდენი ოსმალური სასწავლებელი არსებობს გუბერნიაში, რამდენი მოსწავლე სწავლობს ამ სასწავლებლებში, რამდენი მასწავლებელია და როგორი სწავლა-განათლება მიუღია ამ უკანასკნელთ.

✦ **დელეგატი.** სრულიად რუსეთის ბეითალთა მე-2 სიეზდზე დასასწრებათ ამიერ კავკასიის ბეითალთა საზოგადოების მიერ არჩეულია ბეითალი შ. ზ. დედაბრიშვილი.

✦ **ქალაქის საფინანსო კომისიამ** ქალაქის გამგეობასთან ერთად გადასწყვიტა შეამციროს „ვაკეს მიდამოების“ შესაკეთებლათ გადადებული თანხა—15,000 მანეთით, რადგან „ვაკეს“ მცხოვრებნი თვითონ თავიანთ ხარჯით კისრულობენ „ვაკეს“ მთავარი ქუჩის მოკირწყვლას, იმ პირობით მხოლოდ, რომ 4 მილიონი სესხის განაღდების შემდეგ ქალაქი დახარჯული თანხის ნახევარს დაუბრუნებს მათ.

✦ **დახმარება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა მუსულმანთა საზოგადოებას მიეცეს 1200 ოთხ-კუთხი საჟენი ქალაქის მიწა სკოლის შენობის ასაგებათ.

✦ **სახელოსნო სასწავლებელი.** თფილისში არსებულ სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც მიენდო სკოლის სარეორგანიზაციო გეგმის შედგენა. გადაწყვეტილია სკოლის შენობა 350 მოსწავლეთათვის გაფართოვდეს. ამ ჟამათ სკოლა 250 მოსწავლეს იტევს.

✦ **ქსენონი სოფლათ.** თფ. მაზრაში ს. ვაშლოვანში, თფ. საექიმო განყოფილების მატერიალური დახმარებით დაარსდა ქსენონი. ექიმი და ფერშლები მოწვეულია. წამალი ხალხს შედარებით იაფათ ეძლევა.

✦ **საქონლის ჭირი ამიერ-კავკასიაში** შენიშნულია 16 სხვადასხვა ადგილას, თფილისის, განჯის, ერევნის გუბერნიებში, ნოვო-ბაიაზეთისა და ალექსანდროპოლის მაზრებში, ყარსის ოლქში და სხვაგან.

✦ **სახალხო კითხვები.** კავკასიის ექიმთა საზოგადოება 29 დეკემბერს გამართავს სახალხო კითხვებს. ფიზიოლოგიიდან და ანატომიიდან ქართულ ენაზე წაიკითხავს ექიმი ვ. ღამბაშიძე. ექიმი ზავრიევი რუსულათ „ციებ-ცხელებაზე“. კითხვები გაიმართება ხსენებულ საზოგადოების შენობაში.

✦ **მღვდლების სიეზდი თფილისში** დამთავრდება 23 დეკემბერს.

✦ **ღარიბ მოსწავლეთათვის შემწეობა.** ქალაქის სკოლების ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომიტეტმა გადასწყვიტა, მიეცეს შემწეობა ფეხსაცმელებით თუ ტანისამოსით ქალაქის სკოლების 626 ღარიბ მოსწავლეს.

---

**ოზურგეთი.** ამ ორი თვის წინათ დაპატიმრებული, ადგილობრივი საბჭოს ხმოსანი მანასე თოთიბაძე 30 ნოემბერს უკვე გაანთავისუფლეს საპყრობილედან.

— როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალს ბ. გეგიძეს, მომავალი რეალური სასწავლებლის შესახებ შედგენილი ყველა საზოგადოებების „პრიგოვორები“ უკვე ადგილობრივათ შეუმოწმებია და ამ დღეებში უმაღლეს მთავრობას წარუდგენს სათანადო სანქციის მისაცემათ.

— დიმ. ნაკაშიძე, რომელსაც ადმინისტრატიული წესით სამი თვე დატუსაღება ჰქონდა მისჯილი, ინსპექტორ გ—ძის გალახვისათვის, უკვე დაუპატიმრებიათ დ. ქიათურაში.

— ქალაქის სამკითხველო, რომელიც უსახსრობისა გამო, აგერ ორი თვეა რაც დაკეტილი იყო, 16 ამა დეკემბრიდან კვლავ იწყებს მოქმედებას. როგორც გადმოგვცეს, სამკითხველოს დასახმარებლათ, გამგეობის წევრებს განზრახვა აქვთ 14 იანვარს („ნინოობა დღეს“) გამართონ სალიტერატურო საღამო.

— სიმინდის ფასებმა იმატა, ნატანებში იყიდება ფუთი 60—65 კაპ.; სუფსაში კი 60 კ. სიმინდი გურიიდან საზღვარ გარეთაც გააქვთ, უმეტესათ ოსმალეთში.

— ახლო მომავალში ხვარბეთის და კახურის საზოგადოებაში გაიხსნება საავათმყოფო.

— ს. ხვარბეთში კვლავ გრძელდება ჩხრეკა-დატუსაღება. 12 დეკემბერს დაიჭირეს და ოზურგეთის ციხეში გაგზავნეს სამ. ჩანჩიბაძე, რაფიელ ბოლქვაძე, გაბრიელ ჩხაიძე, კოსტავავა და კვაჭანტირაძე.

— ამას წინათ ჟანდარმის პოლკოვნიკის ბრძანებით დაიჭირეს და ოზურგეთის ციხეში მოათავსეს დან. მამულაიშვილი, ეს პირი გადასახლებული იყო და შემდეგ იქიდან თავის ნებით დაბრუნებულა. ივლისში ის ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა გაანთავისუფლა.

— კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფს სად. ნატანების ახლო-მახლო მცხოვრებლებმა და ვაჭრებმა სთხოვეს ნატანებში პირველ-დაწყებითი სკოლი გახსნა. რუდოლფმა აღუთქვა, რომ თუ შენობას გააკეთებთ, მე ავძრავ შუამდგომლობას სკოლის ხაზინის ხარჯზე შენახვის შესახებო.

## წერა-კითხვის საზოგადოება

### შთაბეჭდილება.

კვირის კრებაზე უფრო საყურადღებო ორი კითხვა იყო: ანგარიშის დამტკიცება და მუზეუმის შენობის აგება. ორივე კითხვა კრების უმრავლესობამ გამგეობასთან ერთად თავისებურათ გადასწყვიტა. დაამტკიცეს ის ანგარიში, რომლის სინამდვილე არავინ იცის—არც გამგეობამ, არც სარევიზიო კომისიამ, არც კრების იმ უმეტესობამ, რომელიც ყველაფერზე „კის“ იძახის, არ იცის—არის თუ არა ნამდვილათ ის ქონება, რომელიც ანგარიშშია აღნუსხული. გამგეობა თვითონ აცხადებს—ჯერ არ დაგვისრულებია შემოწმებაო. ცხადია, ანგარიშის დამტკიცება შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამგეობა მაინც შეამოწმებდა (კრებას ხომ არ მისცეს ამის ნება) რამდენათ ეთანხმება ანგარიშის ციფრები ქონების რაოდენობას. ამას მოითხოვდა ოპოზიცია. ამას მოითხოვდა საღი ლოღიკა, მარა იქ, სადაც მიდგომ-მოდგომიაა გამეფებული, იქ სადაც ესა თუ ის მოღვაწე კრიტიკის გარეშე დაყენებული, იქ, სადაც საზოგადო ინტერესიდან გამოწვეული კრიტიკა პირად შეურაცხყოფათ ითვლება, იქ საღი მსჯელობის დამარცხება წინდაწინ გადაჭრილია.

რას ნიშნავს ანგარიშის დამტკიცება? ეს ნიშნავს იმას, რომ კრება ადასტურებს, აღიარებს, სცნობს, რომ ყოველივე ის, რაც ანგარიშშია მოხსენებული ნამდვილათ არის და როცა ის ამტკიცებს ანგარიშს, ამით პასუხის მგებელი ხდება მომავალი კრების წინაშე ამ ქონებათა ჯამის მთლიანობა-რაოდენობაში.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე დარგში იმ რევიზიის შემდეგ, რომელიც გამგეობას ჯერ კიდევ არ დაუსრულებია აღმოჩნდა, რომ აღარ არის იმდენი ქონება, რამდენიც წარმოდგენილ ანგარიშშია აღნიშნული. ვინ არის მაშინ პასუხის მგებელი? ხომ ეტყვის მომავალი კრება დღევანდელ კრებას: რატომ დაამტკიცეთ ის ანგარიში, რომლის რაოდენობა-მთლიანობაში დარწმუნებული არ იყავითო. დეე, აგონ მაშინ პასუხი იმათ, ვინც ანგარიში დაამტკიცა. რომ გამგეობას რევიზია დაესრულებია და ეთქვა: ჩვენ შევამოწმეთ და ესა და ეს აღმოჩნდაო, მაშინ კიდევ ჰო, სხვა საქმე იყო, მარა დღეს გამგეობა თვითონ ამბობს: დაგვაცადეთ ქონების შემოწმებაო. კრებაც მოვალე იყო დაეცადა მანამდე მაინც, სანამ გამგეობა მაინც შეამოწმებდა მთელ ქონებას. და რამდენათ ეს არ შეასრულა კრების უმეტესობამ, იმდენათ ის „ბრმა მორჩილებით“ მოქმედებდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით გამგეობას არ უნდა მოეთხოვა მათ მიერვე დაწყებული რევიზიის დასრულებამდე ანგარიშის დამტკიცება. და ეს იმიტომ, რომ აწი რომ მათმა რევიზიამ რომელიმე დარგში რაიმე დანაკლისი აღმოაჩინოს, მისთვის აღარც ისე ადვილია სთქვას: ეს ჩვენამდე დაკარგულაო. ამ მხრით გამგეობამ „დათვური სამსახური გაუწია თავის თავს. ანგარიშის დამტკიცებით გამგეობამ კრების უმეტესობასთან ერთად მოვალეთ გაიხადა თავის თავი პასუხი აგოს „საზოგადოების“ წინაშე იმ ქონების რაოდენობა მთლიანობაში, რომელიც ანგარიშშია აღნუსხვილი.

აქვე არ შეგვილია არ გავიხსენოთ ბ. პეტრე სურგულაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ანგარიშის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრის წინ. მან ანგარიში დამტკიცება არ დამტკიცდება, სავსებით ნდობის ნიადგზე გადაიტანა და სხვათა შორის სთქვა: ანგარიში არ დამტკიცება—ეს იქნება უნდობლობა და მე გამგეობიდან გავალი. არც ჩვენ და არც [illegible] მოწინააღმდეგეს არა ყავთ იმდენი ძალა რომ ვინმეს გულზე ხელი ჰკრათ და საზოგადო საქმეს ჩამოაშორონ (ხაზი ჩვენია). ამ ფიცს ვიწამებდით, რომ მას დიდი ღვანლალა ბოლო არ უჩანდეს. ამ „ბოლოს“ კი ბ. სურგულაძე დაინახავს, თუ გაირჯება და გაიხსენებს იმ კრებებს, როცა ის აირჩიეს გამგეობაში. აქ ის დაინახავს, რომ სწორეთ მან და მისმა ჯგუფმა „ჰკრა გულზე ხელი“ ცნობილ ჯგუფს და ამ ხელის კვრით აღიარა: ჩვენ ძალებიც საკმაოთ გვყავს საქმესაც გავუძღვებით და თქვენი დახმარება არ გვესაჭიროებაო. ახლა გამოდის ბ. სურგულაძე და გვიხსნის—გულზე ხელის კვრა არ არის კარგიო. უკეთეს იზამს ბ. სურგულაძე თუ ერთ ლექციას თავის თავს და მის თანამოაზრეთ წაუკითხავს ამის შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი კითხვა იყო მუზეუმი. მუზეუმის აშენების მომხრე ყველა იყო. საჭირო ფულის შოვნის შესახებაც სხვადასხვა ღონის-ძიებაზე იყო მითითებული, მაგრამ აქ გამგეობამ მოითხოვა, რომ მუზეუმზე დახარჯულიყო აგრეთვე სხვადასხვა ფონდები—ილიას ფონდი, რაფიელის ფონდი, სტამბის ფონდი და სხვა. ოპოზიციამ მოითხოვა, რომ უმჯობესია ფონდების ფული პირველ დაწყებითი სწავლა-განათლებას მოხმარდეს და მუზეუმისათვის კი სხვა სახსარი გამოინახოთო, მაგრამ კრების უმეტესობამ არ შეიწყნარა ოპოზიციის მოსაზრება და ფონდებიც მუზეუმის შენობისათვის გადასდო. ოპოზიციის მოწინააღმდეგენის არგუმენტებმა მომაგონა ისინი ვინც ზევიდან აბრეშუმის ახალუხს იცვამენ, ხოლო შიგნით დახეული პერანგი აცვიათ. მუზეუმი რომ კარგი რამაა და რომ უნდა აშენდეს, ამის წინააღმდეგი არავინ არ ყოფილა კრებაზე, მარა ყველა ფონდების ამაზე მოხმარება მაშინ, როცა ბევრია ისეთი ადგილები, სადაც 80 პროც. უსწავლელია—ეს სწორეთ რომ პერანგზე აბრეშუმის ახალუხის გადაცმაა. „ქ. შ. წ-კ. გ. საზ.“ თავი და თავი დანიშნულება წერა-კითხვის გავრცელებაა და ამას უნდა აქცევდეს ის უმთავრეს ყურადღებას. ოპოზიციის წინადადება—ფონდები დარჩეს და თავიანთ დანიშნულებას მოხმარდესო, ერთად-ერთი მიზნის შესაფერი წინადადება იყო და მისი უარყოფით და მუზეუმის შენობაზე დახარჯვით კრების უმეტესობამ მეტი რომ არა ვთქვათ, შეცდომა ჩაიდინა, მარა ასეთი შეცდომა ხომ პირველი არ იყო წრევანდელ კრებებზე...

გალითრკა.

---

კვირა, 20 დეკემბერი.

კრება გაიხსნა 11 ნახევარ საათზე. თავმჯდომარეობს გენერალი ყაზბეგი.

მდივანი კითხულობს წარსული კრების ოქმებს.

თავმჯდ. შესწორებას ხომ არავინ შეიტანს ოქმში?

პ. ქიქინაძე. მე მინდა ორიოდე ფაქტიური შესწორება შევიტანო ოქმში. უნდა აღვნიშნო, რომ ოქმში ერთათ-ერთი მდივანის ნალაპარაკევი არის ვრცლათ შეტანილი, სხვა ორატორების სიტყვები კი შეკვეცილია. როდესაც სენაკის სკოლის მასწავლებლის, ღორთქიფანიძის შესახებ ვლაპარაკობდი, მე აღვნიშნე, რომ, რადგან მასწავლებელი ხშირათ ავათმყოფობს ციებით, სკოლის ინტერესები რომ არ შეილახოს, საჭიროა მასწავლებლის სხვაგან გადაყვანა-მეთქი. ამაზე ბოცვაძემ მიპასუხა: ღორთქიფანიძე ქუთაისში გვინდოდა გადაგვეყვანა, მაგრამ, რადგან ჯამაგირის დაკლება მოუნდა, ისევ ძველს ადგილზე დავსტოვეთო. მე ბოცვაძის განმარტებამ არ დამაკმაყოფილა და დავსძინე: დეე, ღორთქიფანიძეს ჯამაგირი შეუმცირდეს, მხოლოდ ის დანაკლისი სკოლის ინტერესებს შეეწიროს. ბიბლიოთეკების და სამეურნეო საჭიროების ანგარიშის განხილვის დროს მე აღვნიშნე, რომ გამგეობას ბიბლიოთეკების რევიზია არ მოუხდენია-მეთქი. სხვათა შორის მივუთითე ბათუმის სკოლის ანგარიშზე, სადაც სხვადასხვა ხარჯების სახით დახარჯულა 1,200 მ. ეს ციფრი ძალიან დიდია თუ მხედველობაში მივიღებთ მთელი ხარჯების საერთო ჯამს. ამის შესახებ გამგეობას ჩემთვის პასუხი არ მოუცია. მთხოვთ ჩემი შენიშვნები ოქმში შეიტანოთ.

---

ნი, შორეულნი, მაძღარნი და კმაყოფილნი.

ეხლა იქ ისინი დადიან, მოძრაობენ... და წარმოუდგა თითქოს სიბნელეში სიცხადით ჰხედავდა იმათს კმაყოფილსა და მაძღარ სახეებს. ცხადია, ისინი დასცინოდენ კიდეც. დასცინოდა შოლცე, დასცინოდენ ჩამსხვილებული მეკარენი და მეეტლენი, დასცინოდენ მოსამსახურე ქალები, დასცინოდენ ლაქიები და მეეზოვენიც. ყველა ამათი კბილები რაღაც გაბრწყინვებული ეჩვენებოდა... და წარმოუდგა, რომ ესენი ხალხი კი არა, მხეცები იყვენ და ის კი რაც იმათ კბილებათ მოსჩანდნენ, გრძელი, ბასრი კლანჭები.

ივანოვი შეკრთა და ხელი გადაისვა გამშრალსა და გაცხელებულ შუბლზე. „მე უთუოდ ვბოდავ,—იფიქრა მან,— უთუოდ გავცივდი დღეს. შემდეგ წამოიწია და აიღო რა ხელში რევოლვერი, დაჯდა ლოგინზე. უცბათ სიცხადით წარმოუდგა, რომ ის ეხლავ თავს მოიკლავდა და შეუწყდებოდა გრძნობა სიცხისა, სიცივისა და გარს შემოხვეულ სიბნელისა. ყოველივე სამარადისოთ გაქრებოდა და მეტათ აღარ ცდიდა არც შიმშილს, არც თავგანწირულებას და არც საშინელებას უმწეობისას. აღარაფერი აღარ იქნება. წინანდელებრ იწვალებენ ადამიანები, იბრძოლებენ არსებობისათვის, იქვითინებენ მძიმე ქვითინით, სწყევლიან სიცოცხლეს და ერთი მეორეს, ხოლო ის კი იქნება წყნარათ, ყოველივე ამის უგრძნობლათ. იმ წარმოდგენით, რომ მას ყოველივე ჩამოშორდებოდა, გულში რაღაც სიმსუბუქე იგრძნო. უცბათ თვალის წინ გაუელვა მკვდარი, მახლობელი ადამიანების სახეებმა, გაუელვა მზის ქვეშ მბრწყინავმა მდინავმა მდინარემ, გაუელვეს მწვანეთ მორთულ-მოკაზმულმა ხეებმა, გაუელვა ტყემაც, სქელმა და სურნელოვანმა... „კარგი,—წაიჩურჩულა მან,—უნდა ეხლავ მოვკვდე“...

აიღო ხელში რევოლვერი და მიიტანა საფეთქელთან იგი. ჩახმახი თავის ადგილას აღარ იდგა, ხოლო ივანოვი საშინლათ მშფოთავდა და მთელის სხეულით თითქოს ხტოდა. ეხლა რევოლვერი მეტათ ცივი და მძიმე იყო. ივანოვმა დახუჭა თვალები და დაიფარა რა ზედ მარცხენა ხელის გული, ჩახმახი მოსწია, მაგრამ იგი მაგრათ იდგა და ძნელათ ნებდებოდა..

„ეხლავ, ეხლავ, ეხლავ“—უკაკუნებდა მას თავში და სროლა, რომელსაც იგი მოელოდა, არა-ჩვეულებრივი, თითქმის ზარბაზნის ხმის მზგავსი ეჩვენებოდა. საშინელება იყო ამ ხმის გაგონება, მაგრამ ის მაინც სწევდა დასწევდა ჩახმახს...

„ეხლავ, ეხლავ, ეხლავ“—კვლავ უკაკუნებდა თავში და გული თითქოს წყვეტდა ცემას. „ეხლავ ეხლავ...“ მაგრამ აქ უცბათ აზრი მოსწყდა და მან, ჰქექსაგან ყრუდ ქმნილმა, რევოლვერი ბელიდან გადასტყორცა, თავი ძირს დაჰკიდა და ტახტიდან იატაკზე გადაიშხლართა. სისხლი ცხელი და წებოვანი სისწრაფით წარმოსდინდა წვრილის ლივლივით მისი, საფეთქელიდან, გადაევლო სახეზე და ტუჟურკის საყელოზე.

სროლა, რომლითაც ივანოვმა თავი მოიკლა ისე ყრუდ და დაბალი ხმით გაისმა რომ არავინ სახლში მძინართაგანი არ გაუღვიძებია. საოცრათ და განმარტოებულად გაიხმაურა მან ღამის სიბნელეში და შემდეგ მისწყდა, წინანდელები მდუმარეთ და უმოძრაოთ გადაიქცა გარემო ყოველივე...

რ. ლეხნუშელი.

მდივანი. განსახილველია მუხლი „საზოგადოების“ დონისძიებათა შესახებ.

თავმჯდ. შენიშვნისათვის სიტყვას ხომ არავინ ისურვებს?

(სიტყვას არავინ თხოულობს).

მდივანი. განსახილველია: „საზოგადოების“ შემოსავალ-გასავალი.

თავმჯდ. ამტკიცებთ თუ არა ამ ანგარიშს?

ი. კარუხოვი. საზოგადოთ მიღებულია, რომ გამგეობამ, როგორც საზოგადო კრებისაგან არჩეულმა ორგანომ, წლის ბოლოში ანგარიში უნდა წარმოადგინოს ფულებისა და სამეურნეო ხარჯების შესახებ. ანგარიში უნდა იყოს ნათლათ, მარტივათ და ყველასათვის გასაგებათ შედგენილი. აქ დაწვრილებით ჩამოთვლილი უნდა იყოს რა გააკეთა გამგეობამ და რა ვერ გააკეთა. აღნუსხული უნდა იქნას მიზეზებიც, რომელიც წინ ეღობებოდა გამგეობას ამა თუ იმ მოვალეობას შესრულებაში. ჩვენ წინ ფრიად სერიოზული კითხვა სდგას: მივიღოთ თუ არა გამგეობისაგან წარმოდგენილი ანგარიში, დავადასტუროთ ის, თუ არა? სანამ ამაზე ვიტყოდეთ რასმე, ჯერ ის განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ანგარიში. უმთავრესი მუხლი ანგარიშისა „საზოგადოების“ მაღაზიის საკითხია. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან სჩანს და გამგეობაც იმეორებს, რომ მაღაზიაში ქურდობა აღმოჩენილა. მხოლოდ ანგარიშიდან არ სჩანს, და ეს არც გამგეობას უცნობებია თუ როდის, რომელი გამგეობის დროს მოხდა ეს ქურდობა. ანგარიში მხოლოდ ქურდობას ადასტურებს. აქ ერთი კითხვა იბადება: სოსიკო მერკვილაძეს 1904 წ. ქუჩუკაშვილის და მდივანისათვის უცნობებია, რომ „საზოგადოების“ მაღაზიაში ქურდობა ხდებაო. თუ მერკვილაძის სიტყვები მართალია, რატომ მაშინვე ყურადღება არ მიაქცია გამგეობამ ამ გარემოებას? გარდა ამისა, ოპოზიციის ერთმა წევრმა გამგეობას კითხა მუზეუმის შესახებ: რევიზია მოახდინეთ თუ არაო? გამგეობამ უპასუხა: ბინის უქონლობის გამო არ მოგვიხდენიაო. მაშასადამე, ჩვენ არც მუზეუმის შესახებ ვიცით დანამდვილებით რამე: არის მასში შეძენილი ნივთები უკლებლათ თუ ისინიც გაფლანგულია. გამგეობას არც ბიბლიოთეკების რევიზია მოუხდენია. არ ვიცით არც ის, თუ რომელ სასწავლებელს რა დირებულების ქონება აქვს. ბავშვებს სკოლაში ფეხმორთხმული ხომ არ ასწავლიან? სკოლისათვის საჭიროა სკამები, სტოლები, დაფები და სხვ. არც ერთი სკოლის ანგარიშში ეს არ არის ნაჩვენები. სარევიზიო კომისიავალდებული იყო რევიზია ყველა დარგში მოეხდინა. სარევიზიო კომისიის წევრი, ბ. დულაძე ამბობს: ჩვენ მხოლოდ დავთრები დავათვალიერეთ, კრებას ჩვენთვის ყველაფრის რევიზია არ მოუნდვიაო. წესდების ძალით სარევიზიო კომისია ვალდებული იყო ყოველ დარგს შეხებოდა და დაწვრილებით რევიზია მოეხდინა. კრება ხომ მუხლ-მუხლათ არ ჩამოუთვლიდა სარევიზიო კომისიას: აი აქა და აქ მოახდინე რევიზიაო?! ანგარიშში არის სარევიზიო კომისიის ისეთი შენიშვნებიც, რომელიც გამგეობას ჯერაც არ შეუსრულებია...

დ. ჯორჯაძე. ორი კვირაა რაც მაგ საგანზე ვლაპარაკობთ.

ი. კარუხოვი. როდესაც წინა კრებაზე ოპოზიციამ გამგეობას უსაყვედურა: ესა და ეს არ შეგისრულებიაო, გამგეობამ ასე მოგვიგო: დაგვაცადეთ, დაწყებულ მუშაობას დავასრულებთ და ანგარიში მერე მოგვთხოვეთო. დღეს ჩვენ გვეკითხება გამგეობა: ანგარიშს დაგვიმტკიცებთ, თუ არაო? ჩვენც მოვახსენებთ: დაგვაცადეთ, ჯერ დაწვრილებით ანგარიში წარმოგვიდგინეთ თქვენი მოქმედების შესახებ და როცა ჩვენს დავალებას შეასრულებთ, ანგარიშსაც მაშინ დაგიმტკიცებთ:

თავმჯდ. ჩვენ სიტყვები „დაგვაცადეთო„ სარევიზიო კომისიის მოქმედებას შეეხებოდა და არა ანგარიშის დამტკიცებას.

ი. კარუხოვი. სარევიზიო კომისიის შესახებ ჩვენ შევნიშნეთ, რომ შეუწყნარებელი იყო ამ კომისიაში მონაწილეობა მიეღო გამგეობის მდივანს.

თავმჯდ. ამაზე ლაპარაკი უკვე გვქონდა.

ი. კარუხოვი. გოგიჩაიშვილი კი მდივნის სარევიზიო კომისიაში მონაწილეობას ამართლებს.

თავმჯდ. (სიტყვას აწყვეტინებს).

ი. კარუხოვი. მე თქვენ გეკითხებით: სად არის გარანტია, რომ ბოროტ-მოქმედება სხვა დარგებშიაც არ არის მომხდარი? ვინ არის თავდები, რომ ის ქონება რაც დღეს მოგვეპოვება....

თავმჯდ. დაგვაცადეთ...

ი. კარუხოვი. ჩვენ რომ ანგარიში დავამტკიცოთ, მომავალი კრება ხომ ჩვენ მოგვთხოვს პასუხს?

თავმჯდ. არ გეხვეწებით, ბატონო, ანგარიშის დამტკიცებას...

ი. კარუხოვი. გამგეობა ლაპარაკობს, არ ვიცით რა გვაქვსო...

თავმჯდ ისეთი რამ ბრძანეთ, რაც ახალია.

ი. კარუხოვი. ჩვენ რომ ანგარიში დავამტკიცოთ, კრება შეგვეკითხება. .

თავმჯდ. არ გეხვეწებით. თქვენ მხოლოდ ან ჰო სთქვით, ან არა—

ი. კარუხოვი. თუ ასე გსურდათ, ამ კითხვისათვის თავიდანვე კენჭი უნდა გეყარათ. რადგან ანგარიშის დამტკიცების შესახებ კითხვით მოგვმართეთ, ჩვენც უნდა დავასაბუთოთ ჩვენი პასუხი.

თავმჯდ. ორი კვირაა, მაგ საგანზე ვლაპარაკობთ.

ი. კარუხოვი. ჩვენ არ შეგვიძლია გსთქვათ, ანგარიში სწორიაო, ამაზე ჩვენ პასუხისმგებელი ვიქნებით. ჩვენ გეუბნებით: დაგვაცადეთ, როდესაც თქვენს მოვალეობას შეასრულებთ, დამაკმაყოფილებელ ანგარიშს წარმოგვიდგენთ, მაშინ კიდევაც დაგიმტკიცებთ. მე შემომაქვს რეზოლიუცია: (კითხულობს) რადგანაც გამგეობამ არ იცის არის თუ არა ნამდვილათ ყველა ის ქონება, რომელიც აღნუსხულია ანგარიშში და თან ანგარიშში არ არის საგნებით ნაჩვენები არც ის ქონება, რომელიც საზოგადოებას აქვს სხვადასხვა ადგილებში, არც სარევიზიო კომისიამ, არამც თუ აცის, არც კი შეუმოწმებია დავთარში აღნუსხული ქონება—მართლა არის თუ არა ნამდვილათ, ამიტომ საზოგადო კრება შეუძლებლათ სცნობს ისეთი ანგარიშის დამტკიცებას, რომლის სინამდვილეში თვით არჩეული კოლეგიებიც (გამგეობა, სარევ. კომისია) არ არიან დარწმუნებული“.

ვ. სურგულაძე. ხანგრძლივმა კამათმა გამოარკვია ერთი რამ. კრების ერთი ნაწილი ნდობით არ ეპყრობა გამგეობას. მე პირადათ ვაცხადებ, რომ იქ, სადაც უნდობლათ მეპყრობიან, მუშაობა შეუძლებლათ მიმაჩნია. ახალ გამგეობას წინანდელზე ნაკლებ არ უმუშავნია. თქვენ მიერ არჩეული გამგეობა სინდისიერათ, შეძლებისა და გვარათ მუშაობს, სცდილობს „საზოგადოების“ ნივთიერი ქონება გამოარკვიოს—თქვენ კი ამ დროს უნდობლობას გვიცხადებთ. ეს ახირებულობა ჩვენი საზოგადოების დამახასიათებელია. ჩვენ თუ მოწინააღმდეგეს პირუთვნელათ ვერ დავაფასებთ, ადამიანის მოღვაწეობა შეუძლებელია, ჩვენ გიცხადებთ, რომ ფაქტიური რევიზია არ მოგვიხდენია. ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ ეს მუშაობა. თქვენ ამბობთ: რადგან თქვენ მუშაობა დაიწყეთ, ნდობას არ გიცხადებთო. მე მგონია ასეთ გზას თუ დავადგებით, საქმე კარგათ არ წავა. ჩვენი საზოგადოება თავისუფალი ძალებით ისე მდიდარი არაა, რომ სასურველი იყოს ვინმეს ხელი ვკრათ გულზე. ასეთ პირობებში მოწინააღმდეგეს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. როდესაც გამგეობა ანგარიშის დამტკიცებას მოითხოვს, ის დანაკლისს არ მალავს, თუ კრება ჩვენ არ გვენდობა, ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია მუშაობა.

თავმჯდ. კითხვა გამორკვეულია. წინადადებას ვიძლევი კენჭი ვუყაროთ.

ს. მაჭავარიანი. ანგარიშის დამტკიცების შესახებ ლაპარაკი საჭიროა. ანგარიშის რევიზიამეს გაკეთება სამართლიანია. მე მოვითხოვ სხვებსაც მიეცეს ლაპარაკის ნება.

პ. ქიქინაძე. მე იმის მომხრე ვარ, რომ კრებამ საქმე დღესვე გაათავოს. სასურველია კამათი გათავდეს. წინადადებას ვიძლევი კენჭი ვუყაროთ ჩემს წინადადებას: ამტკიცებს კრება ანგარიშს თუ არა?

მდივანი სათითაოთ ეკითხება ყველა წევრებს: ამტკიცებენ ანგარიშს თუ არა. 36 ხმით 20 წინააღმდეგ.

კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

ი. კარუხოვი. კენჭის ყრაში გამგეობის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა, თუ არა?

თავმჯდ. მიიღეს.

ი. კარუხოვი. სარევიზიო კომისიის წევრებმა?

თავმჯდ. რომელნიც აქ არიან, იმათაც მიიღეს.

კრება შეუდგა მოხსენების განხილვას მუზეუმის შესახებ.

(დასასრული იქნება).

## სახალხო თეატრის საქმე ბათუმში.

(წერილი ბათუმიდან).

ბათუმში ამ ჟამათ ათასზე მეტი რკინის გზის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურე ითვლება. ამათი დიდი უმრავლესობა ცხოვრობს: საქონლის სადგურთან, „გოროდოკში“, ბარცხანაში და ბათუმის სხვა განაპირა მიდამოებში; ეს ადგილები კი დაშორებულია ქალაქზე ორი-სამი ვერსის და მეტის მანძილზე და არაფრით არ განირჩევა უბრალო მიყრუებული სოფლისაგან. როგორც ვიცით, თვით ბათუმი, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებით არაფერ დიდ განძს სულიერ სარჩოსას არ წარმოადგენდა მაშინაც კი, როცა აქ ცხოვრება დუღდა და გადადიოდა, თორემ ეხლა, როცა საზოგადოთ მთელს რუსეთში და კერძოთ ბათუმში დიდი კრიზისია—ქალაქის თვითმართველობას იმდენი საშუალებაც არა აქვს, რომ თავისი მოსამსახურები დააკმაყოფილოს, ჩვენ რას უნდა მოველოდეთ მისგან?

ბათუმში თითქმის ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულება არის, ყველა თავის დანიშნულებას ასე თუ ისე ასრულებს. მერე ჩვენ რა?

რომელი ერთი რკინის გზის მუშა-მოსამსახურე, მცხოვრები ბარცხანაში, „გოროდოკში“ და სხვა განაპირა ადგილებში იქნება, რომ ამ დაწესებულებებით ისარგებლოს? მე ვამბობ, რომ არც ერთი და აი რატომ: დღე ყველა თავის საქმეს აკეთებს და საშუალება არა აქვს რაიმე კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებით ისარგებლოს, საღამოს, როცა ის საქმეს—ათავებს როგორ მოახერხებს მთელი დღის დაღლილ-დაქანცული სამი-ოთხი ვერსის მანძილი გაიაროს, წარმოდგენას ან საღამოებს დაესწროს და თორმეტ ან პირველ საათის შემდეგ სახლში დაბრუნდეს?

სხვადასხვა მრავალ მიზეზთა გამო ბათუმის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი სავსებით მოწყვეტილი არიან (დიდი უმრავლესობა) ქალაქურ ცხოვრებას და მის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, რაც საკმაოდ ასვამს ჩვენს ისედაც დაბეჩავებულ ცხოვრებას.

იმის ნაცვლათ, რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლებები და ეძიონ სულიერი სარჩო, ნაწილმა თავიანთ ბინებზე მოაწყო კარტის სათამაშო ოთახები, სადაც ჯგუფ-ჯგუფობით იკრიბებიან და გათენებამდე „ატარებენ დროს“, რაც დაბოლოს იწვევს აყალ-მაყალს და ხშირათ თავ-პირის მტვრევასაც; მეორე ნაწილი „ბახუსის“ გავლენის ქვეშ მოჰყვა და ყვირილ-ყიჟინით მშვიდობიან მცხოვრებთ ძილს უფრთხობენ (ეს ხდება განსაკუთრებით „პოლუჩკის“ დროს) მესამე ნაწილს პირველიც და მეორეც ფეხებზე ჰკიდია, მათ მხოლოდ თავისი „მე“ აქვთ გალმერთებული და სხვას არას დაგიდევს. მეოთხე ნაწილი კი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ყოველივე იმას, რაც მათ ირგვლივ ხდება და შეძლების და გვარათ ანგარიშს უწევს მას.—მათ შეადგინეს სცენის მოყვარეთა ჯგუფი და რამოდენიმე წარმოდგენა კიდევაც დადგეს, მაგრამ გაგრძობა დაწყებული საქმისა ყოვლათ მოუხერხებელია, რადგან მათი საცხოვრებელი ბინა ქალაქზე, სადაც თეატრი არის, სამი-ოთხი ვერსის მანძილზეა და სიშორის გამო მათ შრომა უორკეცდებათ, თვით თეატრის შენობა ძვირათ უჯდებათ და თავიანთ მიზანს ვერ აღწევენ; ამავე დროს რკინის გზას საქონლის სადგურის პირდაპირ, ყველასათვის მოხერხებულ ადგილზე აქვს თავისუფალი შენობა, („ცეხაუზი“), რომელიც მხოლოდ ორ თვეს არის რკინის გზისთვის საჭირო, მეტი არა, მაგრამ ვინ არის ისეთი გულშემატკივარი, რომ იშუამდგომლოს გზის უფროსთან ამ შენობის თავისუფალ დროს დათმობაზე? თითქმის ორი თვეა, რაც ყოველ დღე დავდივართ: ხან პირველი ნაწილის უფროსთან, ხან სადგურის უფროსთან, ხან დეპოს უფროსთან—ვსთხოვთ შუამდგომლობას რკინის გზის უფროსთან, მაგრამ ასე წარმოიდგინეთ, ვერც ერთმა ვერ „გაბედა“ გზის უფროსთან შუამდგომლობის აღძვრა ამის შესახებ; მით უმეტეს მაშინ, როცა ყველამ კარგათ იცის, რომ რკინის გზის უფროსმა დახმარება გაუწია თეატრის დაარსებას სამტრედიაში, მიხაილოვში, განჯაში და სხვაგან; ეს ფაქტებიც ყველა მოვაგონეთ მათ, ყველანი მხრებს იჩეჩენ, მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ ვერ გეხმარებითო, მარა საქმისთვის მარტო მწუხარების გამოთქმა არ კმარა.

ეხლა, ჩემის აზრით, საჭიროა მუშა-მოსამსახურეებმა თითონ „გაბედონ“ ნაბიჯის გადადგმა. გაანებონ თავი კერძო ხვეწნა-მუდარას და საქმეს ოფიციალური მსვლელობა მისცენ. საჭიროა თხოვნა თავიანთი არჩეულების საშვალებით მიართვან თავიანთ უფროსებს და ესენი კი თავის დასკვნით გააგზავნიან დანიშნულებისამებრ და ადვილათ შესაძლებელია, რომ რკინის გზის უფროსი არა საჭირო შენობის ამ მიზნისათვის დათმობაზე დათანხმდეს და თუ არ დათანხმდება--მაშინ დაგვრჩენია ერთათ ერთი გზა: საკუთარი ხარჯით აგება შენობისა, რადგან—„არა მარტო პურითა ცხოვრობს ადამიანი“. ყ. ნ.

# მუშათა შორის

**ჭიათურა.** „ძმ. ფორვუდების“ მაღაროს მუშების ცხოვრებიდან. ამ წლის აგვისტოდან ხაზეინებმა 25 პროცენტი დაუკლეს ჯამაგირებიდან, ითხოვენ მუძებს უმიზეზოთ, მათ ადგილზე მოჰყავთ ბერძნები, სომხები და სხვები.

შეთანხმების დროს ხაზეინებს და მუშებს პირობა ქონდათ, რომ სამუშავრები აკორდით არ უნდა გაეცათ; მაგრამ ხაზეინებმა როგორც პირველზე გაიმარჯვეს, რაღა თქმა უნდა ესეც მოინდომეს და კიდეც შეასრულეს. გადასცეს უმთავრესი სამუშაოები „აკორდით“. სამწუხაროთ ზოგიერთი მუშები ამას ხელს უწყობენ. მიდიან ხაზეინებთან და სთხოვენ „აკორდებს“. ხაზეინები ამას სიხარულით ეგებებიან. ამ ვაჟბატონების წყალობითაა, რომ ხაზეინები სასტიკათ ეპყრობიან მუშებს და არღვევენ „კონდიციის“ წესდების ძალას. ამუშავებენ კვირა-უქმე დღეებში. წესდების ძალით დღენახევრის ქირა უნდა ეძლეოდეს, მაგრამ დღიურზედაც კი არ უსწორდებიან, უკლებენ კიდევ რამდენიმე პროცენტს. მუშებიც ხმას ვერ იღებენ თუ რაიმე ხაზეინების საწინააღმდეგო სთქვი, დათხოვა მოგელით. ზოგიერთი მუშები კიდეც თხოულობენ კვირაობით ასეთს პირობებში მუშაობას.

აქ მუშებში დიდი გასავალი აქვს ღვინის სმას და კარტ-ნარდის თამაშს. სამწუხაროთ, ზოგიერთი მოწინავეებიც არ ერიდებიან ასეთ სათაკილო საქმეს და კვირა-უქმე დღეებში კარტ-ნარდის თამაშში ატარებენ დროს.

„მოგელი“.

### მცირე შენიშვნა.

ყველამ იცის, რომ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ქალაქში მიწების გარდა, სახლებიც აქვს დაგირავებული. ამ სახლებიდან ბევრი ბანკზეა დარჩენილი, რომლის მართველად ბრძანდება ბ-ნი ლევან ფურცელაძე, ხოლო ლ. ფურცელაძეს ჰყავს არჯევანიძეები და სხვანი, რომელთაც მინდობილი აქვთ დაყოფილი სახლების გამგეობა. ერთი სახლის—ანდრეევის ქუჩაზე № 78 გამგეთ არის მ. არჯევანიძე. მ. არჯევანიძეს დიდი პრივილეგიით სარგებლობს ამ სახლების მართვა-გამგეობაში! ის ისე გრძნობს თავს, თითქო ამ სახლის [illegible] ნი თითონ იყოს და ბანკის ინტერესები ფეხებზე ჰკიდია. ისე იქცევა, როგორც მას სურს. ზოგ მდგმურს მუხრუჭს უჭერს და სულს ხდის [illegible] და ზოგს სულაც არ აწუხებს. ამისთანავე, ის ასეთ ხრიკს ხმარობს: [illegible] მდგმურს [illegible] და როცა ქირა გაიზრდება—უწერს ყველაფერს და გროშის ფასათ თითონ ყიდულობს. ერთი ამისთანა მაგალითი 24 ნოემბერ მოხდა. ერთ მდგმურს აუწერა ოჯახის ავეჯეულობა და გაუყიდა საჯაროთ, სადაც თითონ გამობრძანდა მყიდველათ. შენობის შეკეთების შესახებაც ამნაირათვე იქცევა: თუ ესურვება გააკეთებს და თუ არ ესურვება, არ გააკეთებს. ზოგ მდგმურს, ვინც პატივს სცემს, ყოველივეს აუსრულებს, ზოგს ხომ ყურადღებას არ აქცევს. ნუ თუ ბანკის ჰირისუფლების მოვალეობას არ შეადგენს მიაქციონ ყურადღება ამ მდგომარეობას?

გ. დიმელი

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში სამედიატორო სასამართლოს შემდეგ დადგენილებას.

ჩვენ მედიატორეთა მოსამართლეებმა, განვიხილეთ რა ისიდორე ლომთათიძის და ვარლამ ჭყონიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, გამოწვეული პირველის კორესპონდენციის მიერ (იხ. გაზ. «ჩანგი» № 35, 1909 წ.) დავადგინეთ:

1) ვარლამ ჭყონია იყო მეთაური ბ. ვასილიევის გემზე მომუშავე მუშებისა, მხოლოდ რაც შეეხება ამ უკანასკნელთა და უმუშევრათ დარჩენილ მუშებ შორის მომხდარ უთანხმოებას—ვარლამ ჭყონია ყოველ ღონისძიებას ხმარობდა დაემყარებინა მათ შორის მშვიდობიანობა.

2) თუმცა მუშებში ხმები დადიოდა, რომ დაჭერილ მუშების დაჭერებაში ვარლამ ჭყონიას ედვა წილი, მაგრამ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არ ქონია.

3) გარდა ამისა სასამართლომ განიხილა ლომთათიძის მიერ ჭყონიას წინააღმდეგ დამატებითი ბრალდებები, მაგრამ ლომთათიძემ სასამართლოს ვერავითარი დასამტკიცებელი საბუთები ვერ წარუდგინა.

თავმჯდომარე ნაფიცი ვექ. თანაშემწე მ. ბ. მდივანი. წევრნი: გასო მგალობლიშვილი, ხიტუ მიქელაძე *).

*) ამ დადგენილების შესახებ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ადესიდან «Пароходство Васильевъ и К.» მომუშავე 13 მუშის წერილი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ და ხელახლა საქმის გარჩევას მოითხოვენ, რადგან საქმე მედიატორეებმა უჩვენოთ გაარჩია მაშინ როცა, საქმე სავსებით ჩვენ შეგვეხებოდა და არა ლომთათიძესო. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# საჭირო

არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი დ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და დ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შკაფში ყ. კოპალეიშვილთან. (10—7)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია. სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლათ. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში.

**წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома» Василію К. Болквадзе. (0—7)

ქ. ბათუმში

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მაღაზია

# კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—13)